ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში

მოქალაქის გზამკვლევი

2024 წელი

შინაარსი

შესავალი 3

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში 4

ბიუჯეტის შემოსულობები 4

ბიუჯეტის გადასახდელები პროგრამების და პრიორიტეტების მიხედვით 6

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები 8

ინფრასტრუქტურის განვითარება 10

დასუფთავება და გარემოს დაცვა 16

განათლება 18

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი 21

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა 24

ბიუჯეტის გადასახდელები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით 27

შესავალი

ბიუჯეტის ანგარიშის მგზამკვლევის შემუშავება ეხმარება მოქალაქეს მარტივ, მისთვის გასაგებ ენაზე მიიღოს ინფორმაცია მუნიციპალური ბიუჯეტით განხორციელებული ინფრასტრუქტურული, სოციალური, საგანმანათლებლო და სხვა სახის პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ. გზამკვლევში მოცემული ინფორმაცია წარმოადგენს თვითმმართველობის აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ უკვე განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერას, წარმოაჩენს მათ შედეგებს, განხორციელებულ აქტივობებს სძენს მეტ საჯაროობას.

ბიუჯეტის ანგარიშის გზამკვლევი მოიცავს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის წლიური ანგარიშის მოკლე აღწერას. კანონმდებლობის შესაბამისად ბიუჯეტის ანგარიშის პროექტი, მუნიციპალიტეტის მერიის მიერ საკრებულოში წარდგენილი იყო წლის დამთავრებიდან არაუგვიანეს ორი თვისა.

წარმოდგენილი ინფორმაცია არ შემოიფარგლება მხოლოდ ერთი კონკრეტული წლის მონაცემებით. მასში 2023 წლის საბიუჯეტო მონაცემები შედარებულია გასული 2 წლის ანალოგიურ მაჩვენებლებს.

გზამკვლევში მოყვანილი 2023 წლის ბიუჯეტის მაჩვენებლები ეფუძნება ფინანსთა სამინისტროს eTreasuary სისტემაში 2023 წლის 31 დეკემბერს მდგომარეობით არსებულ მონაცემებს.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში

ბიუჯეტის შემოსულობები

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლების სტრუქტურამ მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა 2019 წელს. აღნიშნული უკავშირდებოდა 2019 წლის 1 იანვრიდან საბიუჯეტო კოდექსში ამოქმედებულ ცვლილებას, რომლიც მიხედვითაც, ერთის მხრივ, გაუქმდა გათანაბრებითი ტრანსფერი, ასევე, საშემოსავლო გადასახადის ის სახეები რომლებიც გასულ წლებში ირიცხებოდა ადგილობრივ ბიუჯეტებში აღარ ირიცხება მუნიციპალურ ბიუჯეტებში. ხოლო მეორეს, მხრივ ამოქმედდა გადასახადების განაწილების პრინციპი, რომლიც მიხედვითაც ადგილობრივ ბიუჯეტებში ჩაირიცხება დამატებითი ღირებულების გადასახადიდან მობილიზებული თანხის 19%. ამ თანხის განაწილება მუნიციპალიტეტების მიხედვით ხორციელდება ასევე საბიუჯეტო კოდექსით დადგენილი წესით.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობებს 2021-2023 წლების მიხედვით, წარმოვადგენთ მათ სიდიდეებს, წილს მთლიან შემოსულობებში და დინამიკას ბოლო 3 წლის მიხედვით, მათ შორის შემოსულობების სახეების მიხედვით.

გრაფიკი #1



გრაფიკი #2



ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების წყაროების წილობრივი მაჩვენებელი შემდეგია:

გრაფიკი #3



ბიუჯეტის გადასახდელები პროგრამების და პრიორიტეტების მიხედვით

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის გადასახდელების ფაქტიურმა მაჩვენებელმა შეადგინა 30,5 მლნ ლარი (გრაფიკი #4).

გრაფიკი #4



გრაფიკებში #5-#6 მოცემულია 2021-2023 წლებში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ასიგნებები (მთლიანი ხარჯები) პრიორიტეტების მიხედვით, როგორც ნომინალურ გამოხატულებაში, ასევე თითოეული პრიორიტეტი პროცენტულად მთლიან ხარჯთან. ხოლო გრაფიკზე #7 ანალოგიური მაჩვენებლები ჯამურად ბოლო 3 წლის მიხედვით (2021-2023 წლები).

გრაფიკი #5



გრაფიკი #6



გრაფიკი #7



მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ფაქტმა შეადგინა 4 827,7 ათასი ლარი, რაც ბიუჯეტის მთლიანი ასიგნებების 15,7 %-ს შეადგენს. 2021-2023 წლებში პრიორიტეტის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა და მათი შეფარდება მთლიან გადასახდელებთან წარმოდგენილია გრაფიკ #8-ზე.

გრაფიკი #8



2023 წელს გამოყოფილი ასიგნებებიდან დაფინანსდა შემდეგი ხარჯები:

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	**4,827.7**
საკრებულო	**1,425.5**
მერია	**3,051.3**
მგფ-სა და სხვა ვალდებულებების დაფარვა	**114.1**
საჯარო მოსამსახურეთა სწავლება - გადამზადება	**6.7**
სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური	**195.1**
ჩოხატაურის სამოქალაქო ბიუჯეტი	**35.0**

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯების პრიორიტეტის ასიგნებების წილობრივი მაჩვენებლები მოცემულია გრაფიკ #9-ზე.

გრაფიკი #9



2023 წლის განმავლობაში მერის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხებით 90,9 ათასი ლარი, დაფინანსდა შემდეგი ღონისძიებები:

- შუა ამაღლების კულტურის სახლის სახურავის აღდგენა;
- წარმატებული სპორტსმენთა ჯილდოების ხარჯების დაფინანსება;
- მრავალშვილიანი ოჯახებისათვის სასაჩუქრე პაკეტების შეძენა;
- მასწავლებელთა ჯილდოს ხარჯების დაფინანსება;
- მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკური დახმარების დაფინანსება.

ინფრასტრუქტურის განვითარება

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ასიგნებების 49% დაიხარჯა ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებაზე, რაც ნომინალურ გამოხატულებაში 14 927,0 ათას ლარს შეადგენს. 2021-2023 წლებში პრიორიტეტის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა და მათი შეფარდება მთლიან გადასახდელებთან წარმოდგენილია გრაფიკ #10-ზე.

გრაფიკი #10



2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსდა შემდეგი პროგრამები:

პროგრამის / ქვეპროგრამის დასახელება	სულ	საკუთარი სახსრები	სახელმწიფო ფონდები
საგზაო ინფრასტრუქტურა	**6,672.6**	**1.0**	**6,671.6**
გარე განათება	**577.5**	**577.5**	
კეთილმოწყობა	**2,504.2**	**411.9**	**2,092.3**
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	**675.4**	**0.9**	**674.6**
საპროექტო დოკუმენტაცია, ზედამხედველობა, ექსპერტიზა	**160.1**	**157.0**	**3.1**
სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები	**4,322.1**	**1.4**	**4,320.7**
ა(ა)იპ „კურორტი“ ბახმარო	**15.1**	**15.1**	

<u>გრაფიკი #11</u>



<u>საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების</u> პროგრამა - 2023 წლის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში მოხდა დაზიანებული და ამორტიზირებული გზების კაპიტალური შეკეთება/რეაბილიტაცია. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი იყო 20 კმ გრძივი გზის რეაბილიტაცია/მშენებლობა, ფაქტობრივად განხორციელდა 18,5 კმ. კერძოდ:

- სოფელ ნაკადულში საავტომობილო გზის რეაბილიტაციის სამუშაოები;
- ერკეთის ადმინისტრაციულ ერთეულში ქვემო ონჭიქედში საავტომობილო გზის რეაბილიტაციის სამუშაოები;
- ბუკისციხის, ვანისა და ზომლეთის შიდა საუბნო გზების რეაბილიტაციის სამუშაოები;
- სოფელ შუა ფარცხმისა და დაბის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის მოწყობის სამუშაოები;
- დაბა ჩოხატაურში გურიის ქუჩაზე სკვერის და სტადიონის და გურიის ქუჩაზე გზის ა/ბეტონის საფარით მოწყობის სამუშაოები;
- ფარცხმის ადმინისტრაციულ ერთეულში ხანის გზის რეაბილიტაცია;
- ამაღლება-სამების დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია;
- სოფელ ბასილეთში შიდა გზების რეაბილიტაცია;
- სოფელ წიფნარში სკოლიდან უჩა კიკვაძის მიმართულებით ა/ბეტონის მოწყობის სამუშაოები;
- სოფელ ხევში (ა. მეფარიშვილის უბანი) საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;
- სოფელ ინტაბუეთში საავტომობილო გზაზე ა/ბეტონის საფარით მოწყობის

სამუშაოები;

- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ჯალაღანიას, წიქარიძის, წერეთლის, 9 აპრილის, ლესელიძის და მარის ქუჩების რეაბილიტაცია;
- სოფ. ხიდისთავის შიდა გზების რეაბილიტაცია;
- ქვაბღა-ზოტის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია;
- ხიდისთავი-ქვენობანი-ბუკნარის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია;
- გოგოლესუბნის ადმინისტრაციულ ერთეულში გზის რეაბილიტაცია;
- გოგოლესუბნის ადმ. ერთეულში (ჟ. სიხარულიძის უბანი) გზის რეაბილიტაცია;
- ახალშენი-გორას დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია;
- ერკეთის ადმინისტრაციულ ერთეულში ქვემო ერკეთში მეგრელიშვილების უბანში გზის რეაბილიტაცია;
- შუა ამაღლებაში მეორე უბანში გზის რეაბილიტაცია;
- სოფ. ხიდისთავი-ჭაჭიეთის დამაკავშირებელი გზის და ხიდისთავი-წიფნაგვარას დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია;
- ბასილეთის გზის რეაბილიტაცია;







<u>გარე განათების პროგრამა</u> - გარე განათების ქსელით მოცულია მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის 90%. გარე განათების პროგრამა მოიცავს 3 ქვეპროგრამას: გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია, გარე განათების ახალი წერტილების მოწყობა და გარე განათების ელექტრო ენერგიის ხარჯი.

<u>კეთილმოწყობის ღონისძიებები</u> - პროგრამის ფარგლებში 2023 წელს დაიწყო და 2024 წელს გძელდება შემდეგი პროექტები:

- ბუკისციხის ცენტრის კეთილმოწყობა - 94,5 ათასი ლარი;
- ზემო ერკეთის ცენტრის რეაბილიტაცია - 120,4 აღასი ლარი;
- ორპირას რეკრეაციული ზონის შექმნა - 396,7 ათასი ლარი;
- გორაბერეჟოულის დენდროლოგიური პარკის რეაბილიტაცია - 617,7 ათასი ლარი;
- ხიდისთავის ამბულატორიის მშენებლობა - 101,5 ათასი ლარი;
- მწვანე კორპუსის ეზოსა და მიმდებარე ტერიტორრის კეთილმოწყობა - 300,0 ათასი ლარი;

2023
სოფელ ხიდისთავში ახალი ამბულატორია აშენდა
ინფრასტრუქტურული საშუშაოებისთვის 120 ნნი ლარი გამოიყო
ჩოხატაურის
მუნიციპალიტეტი

დასუფთავება და გარემოს დაცვა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ასიგნებების 6 %-ი დაიხარჯა დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებაზე, რაც ნომინალურ გამოხატულებაში 1 693,7 ათას ლარს შეადგენს. 2021-2023 წლებში პრიორიტეტის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა და მათი შეფარდება მთლიან გადასახდელებთან წარმოდგენილია გრაფიკ #12-ზე.

<u>გრაფიკი #12</u>



2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსდა შემდეგი პროგრამები:

პროგრამის / ქვეპროგრამის დასახელება	სულ
დასუფთავება და ნარჩენები გატანა	**1,625.0**
მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა	**68.7**
სულ	**1,693.7**

<u>დასუფთავება და ნარჩენების გატანის პროგრამა</u> - პროგრამის ფარგლებში განხორციელდა:

- დაბასა და მუნიციპალიტეტში შემავალ 22 ადმინისტრაციულ ერთეულებიდან (სადაც განთავსებულია 320 ერთეული ნაგავშემკრები ურნა) ნარჩენების შეგროვება და ნაგავსაყრელზე გატანა ყოველდღიურად, ჯამში 1250 კბ.მ. ნარჩენი;
- დაბა ბახმაროდან სეზონის პერიოდში ნარჩენების შეგროვება და ნაგავსაყრელზე გატანა;
- ზამთრის პერიოდში დიდთოვლიანობის დროს განხორციელდა ჭარბი თოვლის საფარისაგან გზების განთავისუფლება და ჩამონაშალებისაგან გაწმენდა;

<u>მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა</u> - პროგრამის ფარგლებში განხორციელდა:

- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული პარკების და სკვერების მოვლა-პატრონობა. გასხვლა-ფორმირება, შებარვა, გაცელვა, დასუფთავება, საფეხმავლო ბილიკების გაწმენდა სარეველებისგან, სარეველების შეწამვლა, ახალი ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა.

<u>გრაფიკი #13</u>



განათლება

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ასიგნებების 11,6 %-ი დაიხარჯა განათლების პრიორიტეტის დაფინანსებაზე, რაც ნომინალურ გამოხატულებაში 3 551,3 ათას ლარს შეადგენს. 2021-2023 წლებში პრიორიტეტის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა და მათი შეფარდება მთლიან გადასახდელებთან წარმოდგენილია გრაფიკ #14-ზე.



გრაფიკი #14

2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსდა შემდეგი პროგრამები:

პროგრამის / ქვეპროგრამის დასახელება	სულ	საკუთარი სახსრები	სახელმწიფო ფონდები
სკოლამდელი დაწესებულებების მიმდინარე დაფინანსება	**2,061.7**	**2,061.7**	
სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია	**214.4**		**214.4**
განათლების სისტემის ხელშეწყობა	**1,187.8**	**92.1**	**1,095.6**
საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის მოწყობა	**80.9**		**80.9**
სულ	**3,544.7**	**2,153.8**	**1,390.9**

- მუნიციპალიტეტში არსებულ 22 საბავშვო ბაღის მომსახურებით ისარგებლა 535 ბავშვმა;
- განხორციელდა ზემო სურების ბაღის რეაბილიტაცია;
- საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების კუთხით, განხორციელდა სოფელ შუა სურების საჯარო სკოლის რეაბილიტაციის სამუშაოები;
- მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 32 საჯარო საჯარო სკოლა, სადაც სახელმწიფოს მხრიდან ხორციელდება მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა;

- მუნიციპალიტეტის სოფლებიდან ხელოვნებისა და სპორტულ სკოლებში გაერთიანებული მოსწავლეების ტრანსპორტით მომსახურება.

<u>გრაფიკი #15</u>



კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ასიგნებების 13,0 %-ი დაიხარჯა კულტურა, ახალგაზრდული და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებაზე, რაც ნომინალურ გამოხატულებაში 3 978,7 ათას ლარს შეადგენს. 2021-2023 წლებში პრიორიტეტის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა და მათი შეფარდება მთლიან გადასახდელებთან წარმოდგენილია გრაფიკ #16-ზე.

გრაფიკი #16



2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსდა შემდეგი პროგრამები:

პროგრამის / ქვეპროგრამის დასახელება	**თანხა**
სპორტის განვითარების ხელშეწყობა	1539.0
კულტურის განვითარების ხელშეწყობა	2342.7
საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა	68.4
რელიგიური ორგანიზაციების მხარდაჭერა	10.0
გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა	18.7
სულ	**3,978.7**

პრიორიტეტზე გამოყოფილი ასიგნებების დიდი ნაწილი მოდის კულტურის და სპორტის განვითარების ხელშეწყობის პროგრამებზე.

<u>სპორტის განვითარების ხელშეწყობა</u>

- პროგრამა ითვალისწინებს სპორტული სკოლებისა და კლუბების ფინანსური მხარდაჭერას, რათა მათ ქონოდათ შესაძლებლობა უზრუნველყოთ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება;
- ქვეპროგრამით სარგებლობს 560 ბავშვი;
- სპორტულ აქტივობებში მონაწილეთა რაოდენობამ შეადგინა 1400 ერთეულს;
- სპორტული და საბავშვო ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობის ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა:
  - ჯვარცხმის ცენტრში მინი სტადიონის, სკვერისა და საბავშვო სივრცის მოწყობის სამუშაოები;
  - სოფელ დაბლაციხის ცენტრალური სტადიონის რეაბილიტაციისა და დუმბაძის ქუჩაზე ხელოვნურსაფარიანი მინი სტადიონის მოწყობის სამუშაოები;
  - სოფელ გორაბერეჟოულში სკვერისა და მინი სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოები;
  - დაბა ჩოხატაურში, გოგიბერიძის ქუჩაზე არსებული სტადიონის რეაბილიტაციის სამუშაოები;
  - სოფელ ბუქსიეთში სპორტული მოედნისა და სკვერის მოწყობის სამუშაოები.

სპორტის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა შემდეგ ქვეპროგრამებს მოიცავს:

გრაფიკი #17



კულტურის განვითარების ხელშეწყობა

პროგრამა ითვალისწინებს სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების განხორციელებისთვის საჭირო ხარჯებს, კულტურის ცენტრის, სახელოვნებო სკოლების გაერთიანების, არაფორმარული განათლებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრის ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსებას. ამ კუთხით განხორციელდა შემდეგი ქვეპროგრამების დაფინანსება:

<u>გრაფიკი #18</u>



- გურული ტრადიციების, ფოლკლორის, ხელოვნების, კულტურული ტურიზმის განვითარების ხელშეწყობისათვის მიზნით საანგარიშო პერიოდში ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობამ შეადგენა 50-ს.
- ქვეპროგრამით სარგებლობს 650 ბავშვი.

<u>საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა</u> - პროგრამა ითვალისწინებს:

სპორტსმენთა დაჯილდოვებას, წარმატებული ახალგაზრდების დაფინანსებას, საქართველოს კუთხეების ღირსშესანიშნაობების დათვალიერებას, დამსახურებული პედაგოგების დაჯილდოებას. აგრეთვე ისეთი ღონისძიებების დაფინანსებას, რომლებიც ხელს შეუწყობს საჯარო სკოლებში მოსწავლეების უფრო გააქტიურებას და ინტელექტუალურ-შემოქმედებითი ღონისძიებების დაფინანსებას.

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა გამარჯვებული 4 პროექტი.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ასიგნებების 5,1 %-ი დაიხარჯა მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის

დაფინანსებაზე, რაც ნომინალურ გამოხატულებაში 1 554,0 ათას ლარს შეადგენს. აღნიშნული თანხები მთლიანად წარმოადგენს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარ შემოსულობებს. 2021-2023 წლებში პრიორიტეტის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა და მათი შეფარდება მთლიან გადასახდელებთან წარმოდგენილია გრაფიკ #19-ზე.

გრაფიკი #19



2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსდა შემდეგი პროგრამები:

ჯანმრთელობის დაცვა	200.0
სოციალური უზრუნველყოფა	1,354.1
სულ	**1,554.0**

საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება - პროგრამის ფარგლებში 2023 წელს დაფინანსდა:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში განხორციელდა:

- ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხავა.
- დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება;
- მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა;
- სადერატიზაციო სამუშაოების ჩატარება საცხოვრებელი სახლების სარდაფებსა და ბუნკერებში (კერძო სექტორის გარდა) და ამის საფუძველზე ქალაქში ეპიდსიტუაციის გაუმჯობესება;
- ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვანი ინფექციური და არაგადამდები დაავადებებისა და მასობრივი მოშხამვების, აგრეთვე პროფესიული დაავადებების თავიდან აცილება;
- მუნიციპალიტეტში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური მგომარეობის მონიტორინგი, მოსახლეობისათვის ჯანსაღი გარემოს შექმნის ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტის დასახლებულ ტერიტორიებზე ადამიანისათვის საშიში და შხამიანი ცხოველების ცხოველმყოფელობის დადგენასა და გაუვნებელყოფას.

<u>სოციალური დაცვა</u> - პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას, მათ შორის სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსებას. პროგრამის მოსარგებლე ბენეფიციართა ოდენობამ შეადგინა 3 103. აღნიშნული პროგრამის ქვეპროგრამების დაფინანსების მოცულობა იხ. გრაფიკ #20:

გრაფიკი #20



ბიუჯეტის გადასახდელები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით

2021-2023 წლების მიხედვით ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ჯამში დაიხარჯება 60,768.4 ათასი ლარი. ამ ხარჯების სტრუქტურა საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით მოცემულია #21-ზე და #22 გრაფიკებზე:

გრაფიკი #21



გრაფიკი #22



როგორც გრაფიკებიდან ჩანს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბოლო 3 წლის ბიუჯეტის ხარჯების 44,2% (31,7 მლნ ლარი) კლასიფიცირდება არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით.

საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით სიდიდით მეორე ბოლო 3 წლის მიხედვით არის შრომის ანაზღაურების მუხლი. ჯამში, ეკონომიკური კლასიფიკაციის ამ მუხლით კლასიფიცირდება 19,8 მლნ ლარი (მთლიანი გადასახდელების 27,6%).

საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით სიდიდით მესამე ბოლო 3 წლის მიხედვით არის საქონელი და მომსახურების მუხლი. ჯამში, ეკონომიკური კლასიფიკაციის ამ მუხლით კლასიფიცირდება 13,3 მლნ ლარი (მთლიანი გადასახდელების 18,5%).

შემდეგ მოდის საბიუჯეტო კლასიფიკაციის სხვა ხარჯების მუხლი საიდანაც ბოლო 3 წლის მიხედვით ჯამში დაიხარჯა 3,2 მლნ ლარი, რაც მთლიანი ასიგნებების 4,4 %-ია და ა.შ.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების მიმდინარე და კაპიტალური ხარჯების პროპორცია ბოლო 3 წლის მიხედვით მოცემულია გრაფიკ #23-ზე.

გრაფიკი #23